ბიოგრაფია

დავით ოთიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
1992 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და მიიღო ფსიქიატრის კვალიფიკაცია. ათი წლის მანძილზე მუშაობდა ექიმ-ნარკოლოგად ნარკოლოგიურ კლინიკაში. 2003-2004 წლებში სწავლობდა წამალდამოკიდებულების კვლევის მეთოდებს ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში (ბალტიმორი, აშშ). 2014 წელს დაიცვა დოქტორის ხარისხი ჯანმრთელობის ფსიქოლოგიაში პრაღის კარლოვის უნივერსიტეტში. ბოლო წლებში მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა წამალდამოკიდებულების პრობლემის კვლევა, დარგის სპეციალისტებისათვის სასწავლო პროგრამების შემუშავება და მიწოდება. აქტიურადაა ჩართული პოლიტიკის ცვლილების საადვოკატო საქმიანობაში, არის საქართველოს პარლამენტის ლობისტი. მონაწილეობს საქართველოს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობაში, რომელშიც წარმოადგენს არასამთავრობო სექტორს.